ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4128025

ნომერი: AR1622435

თარიღი : 13.08.2018

გაცემის თარიღი : 20.08.2018

გაცნობის თარიღი : 20.08.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გურამიშვილის მეტროდან დიდ დიღომში მიმავალ მაგისტრალსა და ღვინის ქარხანას შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოდარ ჩილინდრიშვილი პ/ნ 01001002536
- სარაჯიშვილი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- კვების ობიექტები
  - რესტორანი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის13 აგვისტოს N 1622435 განცხადება, რომლითაც ითხოვთ 01.11.04.026.121 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე კვების ობიექტის (რესტორანი) რეკონსტრუქციის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.
პასუხად გაცნობებთ: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-19 მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად შენობა-ნაგებობის სიმაღლე განისაზღვრება საძირკვლის ყველაზე დაბალი ნიშნულიდან: შენობის შემთხვევაში – შენობის საანგარიშო ზედაპირ(ებ)ის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე, ხოლო ნაგებობის შემთხვევაში – ნაგებობის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე. ამავე დადგენილების 67-ე მუხლის მიხედვით II კლასს განეკუთვნება: განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) კოეფიციენტით K-2-ით განსაზღვრული ან იმ ზონაში, სადაც K-2 არ განისაზღვრება – სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანე-ბის ჯამური 300 მ2-მდე ფართობის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური 500 მ2-მდე ფართობის), 5 მ-დან 12 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-დან 4 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა.
ამავე დადგენილების მე–19 მუხლის მე–2 პუნქტის "შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება ასაშენებელი ან სადემონტაჟო შენობა ნაგებობის პარამეტრების მიხედვით, რეკონსტრუქციისას, იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობის კლასი იზრდება, კლასი განისაზღვრება შენობა-ნაგებობის საბოლოო (სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული) პარამეტრების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ რეკონსტრუქციისას შენობა-ნაგებობის კლასი მცირდება, მაშინ შენობა-ნაგებობის კლასისადმი მიკუთვნება ხორციელდება არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის პარამეტრების მიხედვით". ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არსებული სარეკონსტრუქციო ძირითადი შენობის (საკადასტრო გეგმის მიხედვით 01/2) ერთი სართულის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობი შეადგენს 276 კვმ-ს (ფართობის მონაცემი გადამოწმებულია წარმოდგენილი არსებული გენ- გეგმის ვექტორული ფაილის მონაცემების საფძველზე ,) შესაბამისად არსებული შენობის დონეზე K-2 -ის მონაცემი ორივე სართულის იატაკის დონეებზე (განაშენიანების ჯამი) ვერ იქნება 300 მ2-მდე, შესაბამისად თავისი მონაცემებით არ განეკუთვნება II კლასის შენობა-ნაგებობების ჯგუფს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკლაყოფილოს თქვენი მოთხოვნა;

ასევე გაცნობებთ იმისათვის, რომ სამსახურმა ხელახლა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით , საჭიროა მისამართზე www.tas.ge დაარეგისტრიროთ ახალი განცხადება და აირჩიოთ იგივე ნომენკლატურა , მხოლოდ კლასი შეარჩიოთ სწორად ზემოთ ასახული ინფორმაციის გათვალისწინებით .

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.